



თვითმმართველი თემი  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 82

„21“ აგვისტო 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2015 წლის 26 ივნისის №66 განკარგულების ნაწილობრივ  
ბათილად ცნობის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად,

1. ბათილად იქნას ცნობილი „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 მარტის №25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 ივნისის №66 განკარგულების დანართი №1-ით დამტკიცებული, თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის მე-10 მუხლი და ამავე განკარგულების დანართი №2-ით დამტკიცებული, თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების პრივატიზაციის გეგმის მე-10 მუხლი (თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში მდებარე 86976 კვ.მ სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი, ს/კოდი №53.11.33.138).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



*Handwritten signature in blue ink.*

პაატა გიორგობიანი